№ 31 11 თებერვალი, შაბათი 1866—1878 11 თებერვალი, შაბათი № 31

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, №. ᲐᲛᲘᲠᲐᲒᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ. № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, №. ᲐᲛᲘᲠᲐᲒᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიილება კანტორაში. ᲑᲐᲠᲔᲨᲘ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სპანურს ენაზე.

ᲤᲐᲮᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ)

7 თებერვალს სოფ. Ილიჯიზედ გაიარა ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ გარნიზონის მეორე წყობამ, რიცხვით 17 ბატალიონმა 16 ზარბაზნით, რომელშიაც 6 ციხის ასაღები ზარაბაზანი იყო.

ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მთავრობის საშუალებით მივიღეთ ზომები, რომ მუშსა და ხნისს შუა ᲭᲔᲠᲗᲔᲑᲡ ცარცვა და მტაცებლობა მოასპობინონ.

9 თებერვალს ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ და ᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲔᲜᲐᲓᲔᲠᲘᲡ პოლკის ბატალიონებმა დაიჭირეს უმთავრესი სიმაგრეები ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡᲐ—Меджидіе და Азизіе.

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ სრული მშიდობიანობაა. Ізмаил-ფაშამ Илиджиз გაიარა და Ерзингіанში წავიდა.

10 თებერვალს გამოუცხადებთ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ მცხოვრებლებს, რომ დილის 9 საათიდამ ეს ქალაქი გარშემორტყმული ალარ არის ჯარისაგან და ყველას, ვისაც ᲭᲡᲣᲠᲡ, თავისუფლად შეუძლიან გავიდეს ამ ქალაქიდამ, საცა უნდა, და შემოვიდეს.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 7 თებერვალს. თ. ბისმარკმა წარმოსთქვა Рейхстаґში სიტყვა, რომელშიაც განმარტა დროებით შერიგების პირობები და გამოაცხადა, რომ ეს პირობები იმდენათ არ ეხებიან ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ინტერესებს, რომ ᲩᲕᲔᲜ ახლანდელ ნეიტრალურის მდგომარეობიდამ გამოსელა გვეჭირებოდესო. თ. ბისმარკს არ სჯერა, რომ ᲔᲠᲝᲞᲘᲡ სახელმწიფოებს შუა ომი ატყდეს. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ცდილობს, რომ მალე შეიკრიბოს კონფერენცია; ბისმარკის ანგარიშით კონფერენცია მარტის შუაში შეიკრიბება. თ ბისმარკი გადაწყვეტით ამბობს, რომ ამ განხეთქილებაში ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲐᲛ არამც-და-არამც არ უნდა მიიღოს მონაწილეობაო; ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ მხოლოდ შუამავლობას და არა მსაჯულებას იკისრებს ამ შემთხვევაშიო, სთქვა ბოლოს თ. ბისმარკმა.

ᲕᲔᲜᲐ, 8 თებერვალს. თ. ბისმარკის სიტყვამ აქ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; ამბობენ, რომ ახლა უფრო გაადვილდება ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ და ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ შუა შერიგებაო; ამას გარდა თ. ბისმარკის სიტყვა იმიტომ მოეწონათ კიდეე, რომ იმედი მიეცათ რომ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ არ გაერევა ომში, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡᲐ და ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ შუა ეინიცობა შეტაკება მოხდესო.

ᲠᲝᲛᲘ, 8 თებერვალს. Римის პაპათ ამოარჩიეს კარდინალი ᲞᲔᲚᲚᲘ, რომელიც უკვე ავიდა პაპის ტახტზედ. როგორც პაპს იმას ᲚᲔᲝᲜ XIII (მეცამეტე) ერქმევა სახელად.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 7 თებერვალს. სულეიმან-ფაშა და Мехмед-Али მოიხმეს სტამბოლში და სამხედრო სამართალში უნდა მისცენ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ზემოთ დაბეჭდილის ოფიციალურის ტელეგრამმიდამ შეიტყობთ, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ჯარებს ამ თვის 5-ლამ დაუწყიათ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ გასელა და გუშინწინ, 9-ს ამ ქალაქის გარშემო სიმაგრეები უკვე ჩვენს ჯარს დაუჭერია.

ᲐᲛ საგნისვე შესახებ დღეანდელის ფოჩტით მოსულს „Москвиის Вѣдомостяхში" დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 2 თებერვალს Варшидამ მიღებული:

„ᲩᲕᲔᲜᲘ კორპუსის კამანდირთან მოვიდნენ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ Ізмаил-ფაშისაგან გაგზავნილი კაცები ამ ქალაქის დაკარიელების თაობაზე მოსალაპარაკებლად. შვიდი დღის განმავლობაში ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲛᲐ სრულებით უნდა დააცარიელონ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ჯარები ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ გარშემო სოფლებში არიან დაბანაკებული.

„Დიდ-ძალი ხალხი იხოცება მუდამ დღე ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘ. თვითონ Ізмаил-ფაშა კი გადაურჩა სახადის ავათმყოფობას. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ 5-ს თებერვალს დაიჭერენ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡᲐ."

ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „Presse"-ში იწერებიან თფილისიდამ:

„ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ მმართებლობის პლანით, რაც აქ ᲐᲛᲐᲗ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მიწები დაიჭირეს, როგორც ამბობენ, სამ მაზრათ იქნება გაყოფილი: პირველი იქნება ᲭᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ და ᲚᲐᲖᲘᲡᲢᲐᲜᲘ, მეორე—სომხეთი და მესამე ᲭᲣᲠᲗᲘᲡᲢᲐᲜᲘ."

ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ გაზეთი „Morning Post" გვაცნობებს, რომ ყველა ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ აფიცრებს, რომელნიც შინ დათხოვნილი იყვნენ, სამხედრო და ზღვის სამინისტროსაგან ბრძანება მოუვიდათო, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ იმ ქალაქებში, საცა იმათი პოლკები დგანან. ᲐᲛ გვარივე ბრძანება მისცლითათ ᲥᲐᲜᲐᲓᲘᲡ ჯარების აფიცრებსაც.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „Times" ამბობს, რომ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ხალხი ამ ქამად ძალიან გაბრაზებული არიან ერთმანეთზედ და თუ ამ ორი სახელმწიფოს ᲗᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲗ არ დაამშვიდეს თავიანთი ხალხები, თუ კეთილ-გონიერად და ერთმანეთის დათმობით არ წაიყვანეს ეს განხეთქილება, შესაძლებელია ეს გაბრაზება იქამდინ მივიდეს, რომ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ შუა ომის გამოცხადება აუცილებელ საჭიროებად შეიქნესო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ კორრესპონდენტი გაზეთის „Daily News"-ისა იწერება:

„ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ამ ქამად ისეთს კარგ მდგომარეობაშია სტრატეგიულის მხრივ, რომ იმას სრულიად არ ეშინიან არა თუ მარტო ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ, არამედ ერთად შეერთებულის ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲣᲜᲒᲠᲘᲘᲡᲐ. მართლაც, ერთის მხრივ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ უპირავს ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐ თავის ჩინებული ციხეებით, ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲘᲡ გადასავალი და ᲠᲣᲜᲘᲐ; ამ მხრივ ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲣᲜᲒᲠᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ იმას მაგდენი შიში არა აქვს. ᲛᲔᲝᲠᲔ მხრივ იმის ჯარებს დაუბრკოლებლივ შეუძლიანთ დაიჭიროონ, როცა ᲭᲡᲣᲠᲗ, ᲓᲐᲠᲓᲐᲜᲔᲚᲘᲡ წყალი და სტამბოლი და ამნაირად არ მიუშვან ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ხომალდები სტამბოლამდინ."

შერიგების თაობაზე

ბაზეთს „Indépen. Belge“-ში დაბეჭდილია 1 თებერვალს სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს რომ ხონთქრის დოლმა-ბახჩეს სასახლეში დიდი მზადება არისო, რადგან სულთანი ამ სასახლეში აპირებს დ. მ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის სტუმრად მიღებასაო.

—

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია 4 თებერვალს შემდეგი სტრიქონები:

„ბუშინ ჩვენს ქალაქში (მოსკოვში) გავრცელდა ხმა, რომ ჩვენი ჯარები სტამბოლში შევიდაო. ეს ამბავი, რაღა თქმა უნდა, ყველამ აღტაცებით მიიღო; საღამოს ზოგიერთი ქუჩები და სახლები გაანათეს, ბალკონიდამ და ფანჯრებზე ბაირაღები გადმოკიდეს... საუბედუროთ, შემდეგ მოვიდა ნამდვილი ამბავი, რომ ეს ხმა ტყუილი ყოფილა, რომ ჩვენი ჯარები სტამბოლში ჯერ არ შესულან...“

„მაგიერად, მეორე ამბავი გამართლდა: რომ ინგლისის ფლოტი შესულა დარდანელის წყალში და ოთხი ხომალდი სტამბოლის მახლობლად გაჩერებულა, ორიც ბალიპოლთან დგასო.“

—

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 2 თებერვალს ლონდონიდამ მიღებული:

„ინგლისის სამინისტრომ მიანდო სტამბოლელ ელჩს ლეიარდს, ოსმალეთის მმართველობას გამოუცხადოს, რომ სანამ რუსეთსა და ოსმალეთს შუა დაბოლოებითი მორიგების პირობები არ იქნება შეკრული, მანამ ინგლისის სამხედო ესკადრა ბოსფორის წყლიდამ ფეხს არ მოიცელისო.“

—

ამავე გაზეთში იწერებიან სტამბოლიდამ:

„პორტამ (ოსმალეთის მმართველობამ) მისცა ინგლისის სამხედრო ხომალდებს დარდანელის წყალში გასვლის უფლება მხოლოთ იმ პირობით, რომ ინგლისმა თავის ჯარები ამ ხომალდებიდამ სტამბოლში არ გამოიყვანოს.“

—

1 თებერვალს გამოსულს ვენის გაზეთს „Tagblatt“-ში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„დარდანელში მყოფს საფრანგეთის ბრძანება ხომლდებს მოუვიდათ პარიჟიდამ რომ უკანე დაბრუნდნენ. ამბობენ, თუმცა ეს ძნელად დასაჯერებელია, ეითომც საფრანგეთმა გადაწყვიტაო რომ ამ აღმოსავლეთის საქმეებში ის ისე მოიქცეა როგორც ბერმანიამ მოიქცეაო, და რადგან ბერმანიმ არ გაგზავნა სტამბოლისაკენ თავის ფლოტი, ამიტომ იმანაც დაუბრუნაო.

„იტალიის მმართებლობამაც უკან დააბრუნა თავის ფლოტი დარდანელიდამ.

„ოსმალებმა ტორპედები (ხომალდების ასაფეთქი წყლის ლაღმები) ჩაუშვეს ბოსფორის წყალში.

„ამბობენ, რომ რუსის ჯარი ამ დღეებში აპირებს სტამბოლში შესვლასაო.“

საქართველო

დღიური

*** ბუშინწინ, 9 თებერვალს, თფილისი, კათოლიკე ეკკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი იტალიის ახლად-გადაცვლილის კოროლის ვიქტორ-ემმანუელის სულისათვის. მუზიკა იყო და ოპერის მომღერლები გალობდნენ.

შუა ეკკლესიაში იდგა შავის ხაერდით შემოსილი კუბო, რომელიც მიცვალებული კოროლის კუბოს წარმოადგენდა და რომლის გარშემო უანგარიშო სანთლები ენთო.

დიდ-ძალი ხალხი დაესწრო ამ ცერემონიას; სხვათა შორის იყვნენ: თ. ბრ. ორბელიანი, უფ. სტაროსელსკი, უფ. თფილისის ღუბერნატორი, ყველა კონსულები და სხვ.

*** ბაზეთი „კავკაზი“ იწერება, რომ რადგან წელს ცივი, ყინვიანი ზამთარი იყოვო, ქახეთის მემამულეებს იმედი აქვთო, რომ ვაზის ავათმყოფობა (ნაცარი) მოისპობა ან დასუსტდება მაინცაო.

*** სიღნაღის უეზდიდამ გვწერენ ჩვენ, რომ ეს ზამთარი მშვიდობიანათ მიდისო; თუმცა თოვლი გვარიანათ იყოვო, მაგრამ არც ახირებული სიცივეები ყოფილა, არც ყინვა და არც ქარიო.

ამის გამო აქეთკენ მაგრე რიგათ არც ავათმყოფობა არის გავრცელებულიო; მხოლოდ ამ დღეებში გავიგონეთო, ეითომც ოსმალების სენი (საოფლე) სოფ. ველისციხეს სწვეოდეს და ოთხი თუ ხუთი კაცი ემსხვერპლოს.

*** ივერეთიდამ მოგვიეიდა ამბავი, რომ მართალია, ცოტა არ იყოს საქონლის ჭირი მაგრამ შესუსტდა ჩვენკენ; სულ კი ჯერაც არ მოსპობილაო. ჩვენის კორრესპონდენტის ჰაზრით, ამ ჭირის ასე გაძლიერება სხვათა შორის იმ გარემოებასაც მიეწერება, რომ რაც ივერეთისაკენ თივა, ქერი, ან სიმინდი იპოვება, თითქმის სულ იყიდება, რადგან ახლა კარგი ფასი აქვსო, და ამის გამო უსაზრდოობისაგან დასუსტებულ საქონელს ყოველგვარი ჭირი მალე ერევაო.

*** „თფილისის ბანცხადებანი“ გვაცნობებენ, რომ ბორის უეზდის, სოფ. მუხისის მამასახლისს დაუჭირავს ერთი ამხანაგთაგანი ავაზაკის ტატო წულუკიძისა—ილო ილერციანი, რომელსაც ი. ბარსოეევის მოკვლას აბრალებენ და რომელიც თფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოდამ გაიქცა.

„დროების“ კორრესპონდენტი

ბიბლიოთეკა

საგარეჯო, 5 თებერვალს. (დასასრული). ამის გამგონთ დეპოზე შიში აღარ ექნებათ; მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი, ლიტაო სიტყვებია და ზოგიერთებისათვის სიტყვასა და საქმეს შუა დიდი სამზღვარია.

ჩემის მხრით უსვინდისობა იქნება არ გამოვაცხადო და არ ვაქო გულ-მოდგინებით და ბეჯითად მოქცევა, ამასთან პატიოსნება ამ დეპოს ზოგიერთი წევრისა; მაგრამ უმრავლესი, თუმცა კი ბეჯითობას არ აკლებენ, სახეში კი მხოლოთ თავიანთი კერძო სარგებლობა უძევთ და არც დააკლებენ ბეჯითობას, მანამ დეპო ამ მხრით მათ სურვილს და მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს—ეხლა თუ არა შემდეგ მაინც; და თუ ეს მხარე ამათთვის მოისპო, დარწმუნებული იყავით, ეს ხალხი გარს გადგება და ყოველ სახით დააკლებს დეპოს თავის მეცადინეობასა.

დეპოს საუბედუროთ, გამგე ხალხის ნაკლულევანება ის არის, რომ იმათში ხანდისხან მიდგომა უფრო მაგარ ძირკვებსა შლის, ვიდრე სიმართლე: კამიტეტს წარუდგინეს ორნაირი ღვინო; თავს-მჯდომარემ ამ კომიტეტისა, რადგანაც ნათესაური დამოკიდებულობა ჰქონდა ერთ გამყიდველთან, ააღებინა იმის ღვინო, თუმცა ნაყიდი ბევრით ნაკლები იყო და ფასიც ბევრი ჰქონდა უყიდნ. სხვებმა ამ პატივცემულს კაცს ხათრი ვერ გაუტეხეს.

გარდა ამისა ზოგიერთს კომიტეტის წევრთ და დახლიდარს შორის საშინელი განხეთქილებაა. მუდამ დღეს მის უმეცრებაზედ ლაპარაკი აქვთ. მართალია, როგორც მე შევატყე, ჩქარი წერა არ იცის, არც ანგარიში ფულისა თუ წონისა, ამასთან საშინელი ავ-გულია, მუშტარს თითქმის აშინებს; მაგრამ ამთენ წუნში კარგი მხარეც აქვს და ამასთან ისეთი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში: თითქმის ყველანი დარწმუნებულები არიან, რომ ის ხელმრუდობით არ აზარალებს დეპოს; ამ გარემოებას ზოგიერთნი ისე აფასებენ, რომ სთმობენ ყოველ იმის ნაკლულევანებას. არიან გამგე კამიტეტში ისეთნი, რომლებიც ამ გარემომბას არაფრათ აგდებენ და ცდილობენ განდევნონ ის როგორმე და მისი ადგილიც დაიჭირონ; იქნება ისინი ხარბდებიან ჯამაგირს და უმეტესათ ჩუმათ გამორჩომას... ერთი სიტყვით, მთელ ზედამხედველ და გამგე კომიტეტების ხროვაში სჩანს ერთი ნათელი პირი—საქმის მმართველი, რომელიც მთელ თავის არსებით მიეცა ამ საქმეს და მართლათაც დაუსვენებლივ მუშაობს, ამასთან ისე რომ თავის სპეციალურს საქმეს არ ღალატობს და ამის აღსრულებაშიაც ვეჭვნეულობ, ცალი ჰყვანდეს ვინმე არათუ ამ მაზრაში არამედ სხვაგანაც.

ბოლოს ვისურვებ დეპოსათვის ყოლის კეთილს და ვიმედეულობ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივრის საზოგადოება ეცდება მოირჩინოს ის ავათმყოფი მხარეები, რომელნიც იმას აქვს.

ს. მ—ლი

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

Ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ინგლისში ესრედ-წოდებულს რადიკალურ, მოწინავე პარტიას ამ ომში რუსეთის მხარე უჭირავს, რადგან, ამ პარტიის ჰაზრით, რუსეთი სლავიანური ხალხების თავისუფლებისათვის იბრძვისო; საფრანგეთში კი სულ ამის წინააღმდეგ მოვლენას ეხედავთ: აქაური რესპუბლიკელები, დემოკრატები, ერთის სიტყვით აქაური მოწინავე პარტია და გაზეთები ყველა რუსეთის წინააღმდეგნი არიან; ისინი ამტკიცებენ, რომ რუსეთს მხოლოთ თავის საკუთარი საარგებლობა, თავის სამზღვრების გასწორება და შავს ზღვაში თავის ხომალდებისათვის სიარულის უფლების შეძენა აქვს მხედველობაშიო და სლავიანებს თავისუფლება კი მიზეზად, ქვეყნის საჩვენებლად აქვსო.

რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია პარიჟელი კორრესპონდენტის წიგნი, რომელიც ვვარწმუნებს, რომ როცა ლიუ-ბლანს უთხარიო, რომ რუსეთი სლავიანური ხალხების თავისუფლებისთვის იბრძვისო, კინალამ პირში არ გამიცინაო: „სადაური განთავისუფლება, რის სლავიანებიო! თქვენი მიზანი მხოლოდ ის არისო, რომ თქვენი სამზღვრები შეასწოროთ და მომავლისათვის სლავიანების თანაგრძნობა დაიმსახუროთო!“

სერბია

ერთს ნემენცურს გაზეთში იწერებიან, რომ სერბია მორიგების პირობაში თხოულობს ოსმალეთისაგან ქოსოვის ეილაიეტ და ნიშისა და პიროტის მაზრის დათმობასაო. სულ ეს მაზრები შეიცავს 432 ოთხ-კუთხ ვერსს და 440,000 მცხოვრებსაო.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატიცემულს გაზეთში შემდეგს განცხადებას:

თქვენი გაზეთის კვირის (5 თებერვლის) ნომერში, „დღიურში“ წაიკითხე შემდეგი ამბავი:

„ჩვენ გვითხრეს, რომ სიონის რეგენტი (რუსია თუ ქართველი? *) შესდგომია ამ ჟამად ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე დაწყობას. მოგეხსენებათ, რომ ყოველად-უსამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ამ საგნისათვის 500 მან. შესწირა.“

პატივი მაქვს, უფ. რედაქტორო, თქვენი გაზეთის შემწეობით ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას, რომ ქართული საეკლესიო გალობა მთელი წირვის წესი მე დიდი ხანია გადვიღე ნოტებზე, სამ ხმათ, ტარასი არხიმანდრიტის თხოვნით; მაგრამ, რადგან არ გახლდით იმდენი შეძლების პატრონი, რომ თავათ დამებეჭდინებია და საქვეყნოთ გამომეცა, მქონდა შენახული.

შარშან, იელისში, ქუთაისში ჩამოვიდა, თფილისის სემინარიის მართველობის მინდობილობით, ამავე სემინარიის რეგენტი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც იყო ჩემთან და მითხრა:

„მე თფილისის სემინარიის მმართველობამ გამომგზავნა იმერეთში, რომ გავიგონო და გამოვიკვლიო—სად რა ხმაზე იგალობება ქართული საკკლესიო გალობა და შემდეგ როგორმე გადვიღო არჩეული მოტივები ნოტებზე. არც ღონისძიება და არც თავი მაქვს, რომ ამ გზით რამე მოვიპოვო და შევადგინო. მე გავიგე, რომ ქართული საეკკლესიო გალობა თქვენ შედგენილი გაქვსთ კიდეც ნოტებზე, და თუ შეიძლება, გამატანეთ წარეუდგინო სემინარიის მმართველობას.“

მე ვერ გავბედე ამდენი ხნის ნაშრომის ასე უცნობი კაცისათვის მიცემა, სანამდისინ ის ყოველად-უსამღვდელო ეპისკოპოზის ბაბრიელისაგან არ მომიტანდა მოთხოვნილებას. მართლაც, პირველს აგვისტოს, შარშან, უ. მაჭავარიანმა მომიტანა ყოველად უსამღვდელოესის ბაბრიელისაგან შემდეგი ოფიციალური მოწერილობა:

„მისს მაღალ-კეთილ-შობილებას ქუთაისის პირველ-დაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველს და ქუთაისის ქალისკური პიმნაზიის რეგენტს უ. მრევლოვს (30 ივლისს (1-ს აგვისტოს) 1877 წ. № 2,653).

„თფილისის სემინარიაში გალობის მასწავლებელმა მიხეილ მაჭავარიანმა, 26 ამა ივლისს შემატყობინა, რომ მან, სემინარიის მმართველობის მინდობილობით, ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გარდაღებული დოკუმენტების ძებნის დროს, ამ გვარი შრომა იპოვა თქვენთან, რომელიც თქვენ 1850 წ. უკვე დაგიმზადებიათ. იმის ჰაზრით თქვენი შრომა საკვარგისოა, ის ეთანხმება ქართულს საეკკლესიო გალობას და ამასთან მასში დაცულია ბუნებითი (ადგილობრივი) მოტივები. მაგრამ ეს თქვენი შრომა, სანამდისინ ჩემგან ოფიციალურად თხოვნა არ მოგვივიდოდათ, თქვენ არ მიგიციათ მისთვის, რომ მას იგი სემინარიის მართველობისათვის წარედგინა.

„ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, დაუთმოთ მას თქვენი ხსენებული შრომა, თუ სამუდამოთ არა, დროებით მაინც სემინარიის სამმართველოში წარსადგენათ.

„თუმც თქვენ თანხმა იქნებით ამაზედ, მაშინ გთხოვთ, ქალალდითვე ოფიციალურად შემატყობინოთ ის პირობები, რა პირობებითაც გარდასცემთ მას თქვენს შრომას.

„იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელი.“

როგორ შემეძლო ყოველად-უსამღვდელოესის ამ გვარ თხოვნისათვის პატივი არ მეცა და არ გარდმეცა ჩემი შრომა უ. მაჭავარიანისათვის? ავიღე და როგორც ნაბრძანებიც მქონდა ქალალდით მივართვი მის ყოველად-უსამღვდელოესობას. ქალალდში ვთხოვე, რომ, თუ ვინიცობაა ჩემს შრომას სემინარიის მმართველობა ჯეროვანათ და გამოსადეგათ დაინახავდა, მაშინ ნუ ინებებდნენ, რომ შრომის ფასი დამკარგოდა, თუ არა და მაშინ ჩემი შრომა მაინც დაებრუნებიათ ჩემთვის.

ის დღე დღე იყო, უ. რედაქტორო, და ჩემი შრომის დღესაც არაფერი ეცა: რა უყო მას უ. მაჭავარიანმა: წარუდგინა სემინარიის მმართველობას, თუ არა? ამას წინათ თქვენსავე პატივცემულს გაზეთში წავიკითხე, რომ ამ წლის 14-ს იანვარს სიონში ეგალობებიათ ქართული საეკკლესიო გალობა ნოტებზედ გარდაღებული; ერთს წამს ფიქრი მომივიდა, რომ ეგებ ის ეს ჩემი შრომა იყო-მეთქი; მაგრამ მეორე წამს ვთქვი, რომ უ. მაჭავარიანი უთუოთ რასმეს შემატყობინებდა, რომ ასე ყოფილიყო-მეთქი.

ერთის სიტყვით, უ. რედაქტორო, თქვენი გაზეთის შემწეობით ვაცხადებ საქვეყნოთ, რომ იმ გვარი შრომა, როგორის შედგენასაც უფ. სიონის რეგენტი შესდგომია, როგორც ზეიდამ შეიტყობდით, მეც მაქვს, ოღონდ ამ ჟამად ხელში კი არა, თუმც იმედი კი მაქვს არ დამეკარგვის.—ამას მიტომ ვაცხადებ, რომ ყოველად-უსამღვდელოესის ალექსანდრესაგან გარდადებული 500 მან. ჯერ-ჯერობით, სანამდისინ ჩემი შრომაც არ განხილულა და არ დაფასებულა, არავის მიენიჭოს. ვინ იცის ჩემს გარდა ეგების კიდეე სხვა ვინმეც გამოჩნდეს, რომელსაც ქართული საეკლესიო გალობა კიდეე აქვს ნოტებზედ გარდაღებული.

აქვე ვაცხადებ, რომ მე უკვე შეეუდექი ქართული საეკკლესიო გალობის ოთხი ხმისათვის ნოტებზედ გარდაღებას. ზემო-მოყვანილი ჩემი პირველი შრომა, როგორც მოგახსენეთ, მარტო სამი ხმისათვის არისგარდაღებული.

ანდრია მრევლოვი

8 თებერვალს, ქუთაისი

*) რუსია. რედ.

ნარევი

გასული იანვრის 26-ს ლონდონში უკურთხებიათ ძეგლი გამოჩენილის ფილოსოფოსის ჯონ-სტუარტ მილლისა, რომელიც 1873 წელს მიიცვალა. ამ ძეგლისათვის საჭირო ფული ინგლისის ხალხში მოაგროვეს მილლის თაყვანის მცემლებმა. ჩინებული რამ ხელობა არის ეს ძეგლიო, ამბობენ; მდინარე ტემზის ნაპირზედ დგასო.

* * *

ამბობენ, რომ მომავალ წელს მსოფლიო გამოფენა იტალიის ქალაქ მილანში უნდა იქნეს გამართულიო. ამ ქალაქის გამგეობას უთავებია საქმე და გამოფენის კომიტეტისათვის დაუთმია ეს დიდი მაედანი შუა ქალაქში, საცა სხვა-და-სხვა შენობები უნდა აშენდეს.

* * *

პარიჟის გამოფენისათვის, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ამ 1 მაისს უნდა გაიხსნას, ამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკიდამ, მდ. მისისიპის ნაპირადამ, მოუტანიათ ერთი გასაკვირველი, უზარმაზარი ხე, რომელიც ამბობენ 8 საქენი სისხო არისო და 40 საქენზე მეტი სიმაღლეო.

КАВКАСИИС САБЕБИО ИНСТИТУТИ

Мшобиарე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

Цалкე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

Мიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

Ქალის ავათვყოფობისათვის:

Уოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი �ანოვი.

Ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი Рემერტი.

Სამშაბათობით და შაბათობით 11-დ. მ 12 მდინ—დოქტორი Ალბანუსი.

Საუმაწვილოა ავათმყოფობისთვის:

Ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირათობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი Уშანოვი.

Შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: Ფლერტის, Ალბანუსის და Ოსანოვის.

Ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. Ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკოთახებში კი დღეში—1 მან.

ГАНЦХАДЕБАНИ

СТУДЕНТЕБ ХСУРС АКЛИОС УРОКЕБИ ДАБАЛ КЛАСЕБШИ МОСАМЗАДЕБЕЛАД.

Адресის შეტყობა „Дроების“ редакциაში შეიძლება. (5—4)

ТФИЛИСИС ДАЛАКИС ГАМГЕОБИСАГАН.

ТФИЛИСИС ДАЛАКИС ГАМГЕОБА აცნობებს იმ პირთ, რომელთაც **ТРАКТИРЕБИ** უჭირავთ, რომ ყოველ ტრაქტირზე დადებული საშუალო აქციზის (გადასახადის) შეტანის ვადა დანიშნულია: წლის პირველი ნახევრისა—1 მარტს, და მეორე ნახევრისა—1 იელისს ამა 1878 წელსა.

(3—2)

ТФИЛИСИС ДАЛАКИС ГАМГЕОБИСАГАН.

ДАЛАКИС ГАМГЕОБА საყოველთაოთ აცხადებს, რომ Аქულისის მოქალაქეს ზარგაროვს მინდობილი აქვს ბამგეობისაგან საქონლის მძოვრის აკრება ქუჩებიდამ და ქალაქს გარეთ გატანა დასამარხავად.

Ამის გამო ბამგეობა სთხოვს ქალაქის მცხოვრებთა და სახლის პატრონებს, ნუ გამოჰყრიან ხოლმე ქუჩებში მძოვრებს, არამედ აცნობენ ბამგეობას, ამა-და-ამ ადგილას მკვდარი საქონელი აგდიაო, და თვითონ ბამგეობა მოახდენს განკარგულებას, რომ ის გაათრიონ ქალაქს გარეთ.

(3—2)

ГАМОТЕВИДА ДА ИСУИДЕБА „ОСОЛИ ВИТИРО, ТУ ФУЛИ?“

Комедиа Але. Тუთაევისა

ИСУИДЕБА: Ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და Алექს Ჯიმშეროვთან, Тელავს—Иოსებ Ქუზმანაშვილთან, Ქარელს—Давით Ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და Бექათ'უბნის ბუფეტში, Сურამს—Ზაქარია Арუწოვთან, Ქუთაისს—Иკობ Ოჰანეზოვთან და სვ. Церვაძესთან Ფოთში—Ელისბარ Бабალოვთან, Цხინვალს—თ. Иვ. Თაქთაქოვთან, Საქაშეთს—თ. Ник. Диასამიძესთან, Მეჯვრისხევს—Масწ. Мოსე Ნათაძესთან, Зორში—Стъ. Зомოევთან და თვითონ ავტორთან.

(5—2)

КАВКАЗИИС САМЕУРНЕО САЗОГАДОЕБАШИ

ისყიდება სრულიად ალი **ПИИС ТЕСЛИ**, ყვითელი, Итალიის ჯინშისა; სულ გასასყიდლად არის 14 გირვანქა, და ისყიდება **МИСХАЛИ ЕКВС ШАУРАД** გაგზავნით საიდამაც კი მოითხოვენ Кавკაზიაში. Ერთს პირს 10—50 მისხალზე.

Виსაც ამ აბრეშუმის თესლის შეძენა ჰსურს, უნდა მიმართოს ხსენებულს საზოგადოებას მიმავალ მარტის პირველ რიცხვამდინ, თან უნდა გამოგზავნოს ფული და თავის დაწერილებული ადრესი.

Ეს თესლი მოტანილია Мილანიდამ 1876 წელს უფ. Ზეიდლიცისაგან და 1877 წელს Ф.-Ბახისაგან. გაზდილის ჭიისა არის, რომელიც ჩინებულად მოშენდა Тфილისის მახლობლად და ავათმყოფი ჭიები სრულიად არ ყოფილა. 15 მისხლის თესლიდამ Ф.-Бახმა გააკეთა სამი ფუთი და ნახევარი პარკები, რომლისგან გამოვიდა 15 გირვანქა თესლი.

Ამ თესლის პარკები საზოგადოების მუზეუმში არის საქვეყნოდ გამოფენილი.

Рკ. ბზა.	Дილ.		Сალმ.		II კ.		III კ.	
Тфილისი .	9	21	5	18				
Мცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
Зорი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
Сурами. . .	1	44			4	42	2	46
Уვირილა .	5	49			5	81	3	23
Рიონი. . .	6	47			6	75	3	75
Самტредია .	7	41			7	73	4	29
Ახ.-Სენაკი .	—	—			8	57	4	76
Ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
Ფოთი . .	9	13						
Ახ.-Სენაკი.	—	—			1	18	-	66
Самტредია.	11	16			2	6	1	14
Рიონი . .	12	13			3	4	1	69
Уვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
Сурами. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
Зорი . .	7	5	4	8	6	36	4	9
Мცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
Тфილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ТЕЛЕГРАФИ

Ოცი სიტყვა Тфილისიდამ:	მ.	კაპ
Ქუთაისს, Ფოთს . .	1	—
Зორს, Დუშეთს, Სილნალს	-	50
Როსტოვს, Ოდესას, Мოსკოვს	2	—
Პეტერბურგს, Варშავას . .	2	—
Ოსმალეთში, Შვეიცარიაში	3	—
Итალიაში და Საფრანგეთში.	3	50
Ინგლისში	3	75

ПОШТА

ა) Тфილისიდამ: Სამზღვარ გარეთ, Ქუთაისს, Рუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. Зუგდ. ორშ. და სამშ. Ოზურ.—Парასკ. და ორშ. Ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) Ქუთაისიდამ: Тфილისისა და Ფოთის აკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს—ორშ. და Парასკ.

Წიგნის გაგზავნა Рუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
Ლია წიგნის	4
Დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

БИРЖА

Პეტერბურგი, 5 თებერ.

Ერთი ინგლისური ლირის:

Ლონდონში 23 ჰენსი.	—	78
Парიაში 263 სანტიმი.	—	62
Მსოფლიო (სარგებლისფასი)	7½	—
Банკის ბილეთი 5%	96	50
Მოგებიანი (პირველისა)	238	25
Მოგებიანი (მეორე ხენსი)	233	50
Бირაოს ფურცლები:		
Тфილ. საზზ. Банკისა.	-	—
ხერსონის Банკი	83	25
Мოსკოვის . .	83	50
Აქციები:		
Одესის საგაპრო Банკის	177	—
Ფოთი-Тфილ. რკინ. გზის	—	—
Შავი ზღვის ცეცხ. გემოვნის	527	—
Кავკაზის და Меركурის . .	225	—
Პირვ. საზღვევ. საზ. გ.	745	50
Პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
Мოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

МАЗАНДА

	მან.	კაპ
Тфილისი, 9 თებერ.		
Ფქვ. თეთ. Бანჯისა, ფთ.	1	10
Ფქვილი წითელი . .	1	80
Ქერი ფუთი . . .	1	45
Бამბა Ერევნისა, ფუთი .	8	20
—Амერიკისა, ფუთი . .	8	40
Бაპენტილი бამბა ფუთი.	12	—
Матული თუშური ფთ.	8	—
—Тარაქამისა ფთ. .	5	—
Აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
Ქონი, ფუთი. . .	6	20
Ქონის სანთელი ფუთი.	8	—
Სტეარინის სანთელი, ფ.	14	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
Სპირტი, გრადუსი .	—	15
Შაქარი, Бროц. ფუთი .	8	20
—ფხვნილი ფუთი . .	8	—
Უავა გრგვალი, გირვ. .	—	80
Ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	50
Ოქრო ½ იმპერიალი. .	8	—

Дозволено цензурою Тифлисъ, 10 Февраля 1878 г. Типографія Меликова. Бამომცემელი ს. Мელიქიშვილი. Редакტორი ს. Месხი.